# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-791

03/09/2020

ქ. თბილისი

**შპს „კოლხეთის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელ საწარმოზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ**

2020 წლის 10 აგვისტოს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „მანგანუმი-2013“-ის დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2003 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „კოლხეთის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელ საწარმოზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა № 72; 05.09.2003; ჭიათურა, „ცოფის“ მიმდებარე ტერიტორია) და გარემოსდაცვითი ნებართვა, თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2014 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე აღნიშნული დასკვნა და ნებართვა შპს „კოლხეთისგან“ გადაეცა შპს „მანგანუმი-2013“-ს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ განხორციელდა საწარმოს დემონტაჟი, იგი გადატანილ იქნა სოფ. თაბაგრების ტერიტორიაზე, რომელზეც სამინისტროს მიერ გაიცა 2013 წლის №50 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ვინაიდან აღნიშნული საწარმო აღარ ფუნქციონირებს, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „მანგანუმი-2013“-ის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

   ა) შპს „კოლხეთის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელ საწარმოზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 5 სექტემბერს გაცემული № 72 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

ბ) „შპს „კოლხეთი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 25 დეკემბრის № ი-364 ბრძანება;

გ) „შპს „კოლხეთი“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „მანგანუმი-2013“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 24 ივლისის № ი-437 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მანგანუმი-2013“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მანგანუმი-2013“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი